# ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

შ ა ბ ა თ ი, 27 მარტი 1910 წ.  № 43

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი  წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი ს  ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე —10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი· გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი  შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ახალი სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გ ა ზ ე თ ი  ღ ი რ ს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხ ე ლ ი ს  მ ო წ ე რ ა  მ ი ი ღ ე ბ ა: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.

## ქართული თეატრი

შაბათს, 27 მარტს,

## გრიგოლ რობაქიძე

წაიკითხავს ქართულად საჯარო ლექციას ამ თემაზე

## რელიგია მშვენიერებისა

(შესახებ ოსკარ უაილდის შემოქმედებისა)

— პროგრამა ლექციისა —

შესავალი.—ცხოვრება და შემოქმედება.—სიყვარული და უკვდავება.—მხატვრული სახე როგორც სიმბოლო უკვდავისა და მარადისა.—უაილდის ესთეტიური თეორია.—ზღაპრები უაილდისა.—დრამა „სალომე“ (სიყვარული და სიკვდილი).—რომანი „დორიან გრეი“ (ტრაგედია მშვენიერი სიცოცხლისა).—სულიერი დრამა უაილდისა. (თხზულება «De profundis») .—მნიშვნელობა უაილდისა.

0—3

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ორშაბათს, 29 მარტს მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა გამართავს წარმოდგენას

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის, მ. მ. საფაროვის, ვ. აბაშიძის, კ. ყიფიანის და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## ხათაბალა

კომ. 4 მოქ. და 5 სურათათ თხზ. გ. ნ. სუნდუკიანცისა.

მოთამაშენი ქ-ნნი: ნ. მ. გაბუნია-ცაგარელი, მ. მ. საფაროვ-აბაშიძე, ნ. გამყრელიძე, ა. ნებიერიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ა. იმედაშვილი, შ. საფაროვი და სხ.

ადგილების ფასი: ლოჟები 7 მ. 12 მ.-დე; პარტერი 1 მ.-დან ვიდრე 4 მ.-დე; გალერეია 25—60 კ.-მდე.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. რეჟისორი ვ. აბაშიძე.

ხუთშაბათს, 8 აპრილს 1910 წ

ქართული თეატრის კაპელდინერების სასარგებლოთ

ნ. გაბუნია-ცაგარლისა და ვ. აბაშიძის

მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ალლუმი

მხიარული კომედია 4 მოქ. ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული

მონაწილეობენ: კარგარეთელი, ვიქტორელი, გამყრელიძისა, ნებიერიძისა, ასათიანი, გუნია, გედევანოვი, გამყრელიძე, იმედაშვილი, იმხნელი, საფაროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

რეჟისორი ვ. გუნია.

## ს ა ხ ა ზ ი ნ ო  თ ე ა ტ რ ი

დღეს, 27 მარტს უკანასკნელი ლექცია

## ნ. ა. აბარმოვიჩისა

„ვ. ფ. კომისარჟევსკაია და თანამედროვე თეატრი“

დაწვრილებით პროგამებში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ფასები ძლიერ დაკლებულია.

ვაცნობებთ გურიის მეაბრეშუმებთ, რომ დ. ჩოხატაურში

წ ი გ ნ ი ს  მ ა ღ ა ზ ი ა მ

შეიძინა მრავალ წლობით გურიაში ნაცადი და საიმედო, ცნობილი ფირმის აბრეშუმის თესლი

## ✱ ხრისტოდული ✱

რომელიც შემოწმებულია საბრეშუმო სადგურში. ხრისტოდულის თესლი დამზადებულია ჩვენებურ ჰავის შესაფერად. ჩვენი მიზანია რაც შეიძლება იაფად და თან უტყუარი აბრ. თესლი მივაწოდოთ ღარიბ მეაბრეშუმეებს, ვინც ადრე შეიძენს ან კოლოფზე 50 კ. წარმოადგენს, იმათთვის გაცილებით იაფი ეღირება. მუქთად დაეთმობათ «ყაჭის მოვლა». ამავე თესლის შეძენა შეიძლება ხიდისთავში ემილ. ლომთათიძესთან, ნაგომარში თომა ნინიძესთან და ს. ბუკნარში მირიან ბუკიასთან.

(6—2) სიდ. თავართქილაძე.

სახაზინო თეატრი

9 აპრილს ექიმი გ. გ. ტოგოლევიჩი წაიკითხავს ლექციას თავის მოგზაურობაზე შუაგულ აფრიკაში.

## კონგო

ფასები ძლიერ დაკლებულია.

ბილეთები იყიდება კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში.

ბარიათინის ქუჩა № 5.

მმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

5 აპრილს, გაიმართება ქართული წარმოდგენა:

## ორი დარაჯი

დრამა 3 მოქმედებათ

წარმოდგენის შემდეგ გაიმართება კონცერტი კ. ჩარკვიანის ლოტბარობით

კბილის ექიმი

## რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის

## „ცინკოგრაფია“

იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშეებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.

ადრესი: თფილისი, დიდი ვანქის ქუჩა, სახლი № 12 ზემო სართულში. (0—21)

## ბათუმის რკინის გზის სადგურზე წიგნის ✖●✖ შკაფში ✖●✖

გიორგი მახარაძესთან

იყიდება ყოველგვარი ქართულ-რუსული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, როგორც ადგილობრივი, ისე სატახტო ქალაქის გამოცემები.

აგრეთვე მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „ახალ სხივზე», იგივე მიიღებს ყოველგვარ განცხადებებს „ახალ სხივში“ დასაბეჭდათ.

გაზეთის გამოწერა-შეწყვეტის დროს საჭიროა ერთი კვირით ადრე განცხადება. ვინც თვიურათ გაზეთს გამოიწერს, მათ ნაჩვენებ ადრესზე მიტანაში არაფერი გადიხდებათ.

კავკასიის სამთო სამმართველო აცხადებს, რომ ამ 1910 წლის 26 აპრილს მოწვეულია ქ. ქუთაისში შორაპნის მაზრის

## შავი ქვის მრეწველთა მორიგი XIII სიეზდი

კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსის, სტატსკი სოვეტნიკის ჩენგერის თავმჯდომარეობით. განსახილველია შემდეგი კითხვები:

1) სიეზდის მდივნის არჩევა.

2) ანგარიშების განხილვა: ა) სიეზდის საბჭოს 1908 და 1909 წლების ბ) სარევიზიო კომისიის გ) ჭიათურის რკინის გზის შტოზე ვაგონების გამნაწილებელ კომიტეტის.

3) მადნების წარმოების, რკინის გზის სადგურებზე შეგროვებულ და გასატან მადნების რაოდენობის, გადასატან საშუალებების, და კავკასიის რკინის გზებზე, როგორც ჭიათურისაზე ისე მთავარ ლიანდაგზე საწყობ ადგილების შესახებ სტატისტიკურ ცნობების განხილვა.

4) ჭიათურის სამრეწველო რაიონში რკინის გზის საწყობებში შავი მადნის მისატანათ მექანიკურ ჩამოსაზიდის გაკეთება სიეზდის ხარჯზე.

5) მაღაროებთან სასმელ წყლის გაყვანა.

6) კავკასიის მომავალ უმაღლეს სასწავლებლისთვის დახმარების დანიშვნა.

7) ინჟინერ-ქიმიკოს რომანოვის ქუთაისის ქიმიურ ლაბორატორიისთვის დახმარების დანიშვნა.

8) ჭიათურაში ქალთა პროგიმნაზიის გახსნა.

9) ქვა-ნახშირის რკინის გზებზე გადაზიდვის გაუმჯობესება. ა) ჭიათურის ვიწრო ლიანდაგის მაგიერ ფართე ლიანდაგის გაყვანა. ბ) საწყობ ადგილებზე საიჯარო ფასის რაოდენობის განსაზღვრა რკინის გზის მიწებზე. გ) ჭიათურასა და ჭიქოურაში მისასვლელი გზების გაკეთება. დ) ჭიათურის სადგურზე გადასასვლელი ხიდის გაკეთება. ე) შავი-ქვის ბაქნებზე ფარდულების გაკეთება და რკინის გზის ვაგონების გამოყენება, რომ მადანი არ დასველდეს. ვ) სხვა კითხვები, რომლებიც შეკავშირებული არიან მარგანეცის გადაზიდვასთან.

10) შავი-ქვის მრეწველთა სიეზდის 1910 წლის შემოსავალ-გასავლის განხილვა და დამტკიცება.

11) თანამდებობის პირთა არჩევა. 3—2.

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

დამბაშიძე გ. დ. შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვების და ელ.-ტროშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

გურკო გ. ა. შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

კარშინი ა. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ხ. თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. $2$—$2^1/_2$ ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

პოპოვი ბ. ა. ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. $2$—$2^1/_2$ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოველ დღე 9—10 ს,

სოგოლევსკი გ. ვ. ქირურგ. ყოველ დღე. 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—99)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შელავათიანი საფასურით.

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

ექ. ს. ვაშაყმაძე კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

ექ. ი. გომართელი ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ვ. ხ. მუსხელიშვილი: სამშაბათს ხუთ· და შაბათს $2$—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

ექ. ე. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—99)

ქუთაისის გუბერნატორის ნებართვით ილია ბახტაძე წაიკითხავს საჯარო ლექციას ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, სამტრედიაში, ნაოდალევსა და ჭიათურაში შემდეგ თემებზე:

● „ბატონ ყმობა და დანიელ ჭონქაძე“ და ჩვენი ახალგაზდა პოეტები: ვარლამ რუხაძე და მისი პოეზია ●

ლექციის წაკითხვის დრო ყოველ ქალაქში და დაბაში ცალკე აფიშებით ეცნობება საზოგადოებას. (8—ის.—8)

სახალხო უნივერსიტეტი

კვირას, 28 მარტს

## კ. ა. გორბაჩევი

წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: ფუტკართა ოჯახური ცხოვრება.

დასაწყისი დილით 11 საათზე. ბილეთების ფასი 5 კაპ. 10 კ-დე.


## პრესა

„დარბაისელი გაზეთი“ „ამირანობას“, არ. ჯ—შვილობას აღარ სჯერდება,—ის უფრო შორს მიდის... ასე იქცევა ის უმთავრესად როცა ლაპარაკს ჩვენს დეპუტატებზე დაიწყებს, რასაკვირველია. ერთი ასეთი მცირე, მარა „ამირანისებური“ პასუხის ღირსი გახადა მან დეპუტატი ჩხეიძე იმ ორი წერილის გამო, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა სათაურით —„ახირებული გულმავიწყობა“. ჩვენს მკითხველებს, ეჭვი არაა, წაკითხული ექნებათ ხსენებული წერილები და ამიტომ აქ მათზე არას ვიტყვით. „დროება“—კი, თავის მკითხველებს ასე გადასცემს:

„ოთხი წელიწადია, რაც ბ-ნი კ. ჩხეიძე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატათ აირჩიეს და ამ ხნის განმავლობაში არც ერთი წერილი არ დაუბეჭდია გაზეთში ისე, რომ ჩვენთვის არ ესაყვედურებიოს—რატომ არ გვეხმარებით და მასალას არ გვაწვდითო. ჯერ იყო და ამას წინად ათი თუ თხუთმეტი წერილი დაბეჭდა ამ სათაურით—„ვისი ბრალია?“ და ვიღაცას რაღაცას აბრალებდა. ეხლა კიდევ „ახალი სხივის“ ორ უკანასკნელ ნომერში ორი უშველებელი წერილი მოათავსა ჩვენს წინაღმდეგ. ამ წერილში ყველაფერია, ისიც, რომ დეპუტატი კაკი წერეთელი შესანიშნავი ორატორი და მოღვაწეა, ისიც, რომ „დროებაა“ მასალას არ აწვდის დეპუტატებს, ისიც, რომ „დროებას“ არ შეუძლიან მიაწოდოს მასალა, „თუმცა ადგილობრივი კითხვების დარაჯათ მოაქვს თავი“, ისიც, რომ ჩვენი დეპუტატები დაუცხრომლათ მუშაობენ და დასასრულ, ისიც, რომ „დროება“ დეპუტატებს აბეზღებს ხალხთან, აფრთხობს და „ხალისს უკლავს“ საზოგადოებას და ამ რიგათ ხელს უშლის, რომ მან მიაწოდოს რაიმე დეპუტატებს“.

ასე „მიუდგომლათ“ გადასცა მოპირდაპირის (ჩხეიძის) წერილების დედა-აზრი „დარბაისელმა გაზეთმა“ თავის მკითხველებს და თან დასძინა:

«კამათი ყველა ამაზე მეტიც არის და შეუძლებელიც“-ო.

რასაკვირველია, თუ ასე გაიგო „დროება“-მ ჩხეიძის წერილების აზრი, მართლა მეტია პასუხის გაცემა, მარა არა,—ასე მას არ გაუგია ის: მან გაიგო ნამდვილი აზრი და რადგანაც საპასუხო ველარ მოახერხა-რა—დამახინჯებულათ მოიყვანა: „ათი თუ თხუთმეტი წერილი დაბეჭდა“... „ვიღაცას რაღაცას აბრალებდა“... „რომ დეპუტატი კაკი წერეთელი შესანიშნავი ორატორი და მოღვაწეა... რომ დეპუტატები დაუცხრომლათ მუშაობენო.. და სხვა და სხვა... და სთქვა („დროებამ“) შეუძლებელიც არის პასუხის გაცემაო... რასაკვირველია, შეუძლებელია პასუხის გაცემა, თუ არ იცი ათი წერილი დაბეჭდა მოპირდაპირემ თუ თხუთმეტი, თუ ვიღაცას რაღაცას აბრალებდა და არა შენ და სხ.., მარა ეს ასე არ ყოფილა... ჩხეიძე გარკვევით სწერდა, ადვილი გასაგები იყო მის წერილებში ვის წინააღმდეგ იყვნენ ისინი მიმართული და თუ „დროება“ მაინც გაიძახის,—„ვიღაცას რაღაცას აბრალებდა“, „ათი თუ თხუთმეტი წერილი დასწერაო“—მას არ სურს გაიგოს ყველა ეს და ამიტომ იძლევა, როგორც იტყვიან, უკბილო იხუნჯობის მსგავს პასუხს.

ჩვენი გაზეთის მე-40 ნომერში კ. ჩხეიძე სწერდა:

„არასოდეს არ გვიფიქრია თვით „დროებისთვის“ საყვედურზე საყვედურით გვეპასუხნა, რადგან საყვედურით ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ მას, ვინც ჩვენი იმედი და მოლოდინი არ გაამართლა, „დროების“ იმედი, როგორც გაზეთის, ჩვენ არასოდეს არ გვქონია და მოლოდინში არ ვყოფილვართ, რომ პატივცემული ორგანო მასალებს და ცნობებს მოგვაწვდიდა და დახმარებას გაგვიწევდა“.

„დროება“-კი სწერს: კ. ჩხეიძეს 4 წლის განმავლობაში

„არც ერთი წერილი არ დაუბეჭდია გაზეთში ისე, რომ ჩვენთვის არ ესაყვედუროს —რატომ არ გვეხმარები და მასალებს არ გვაწვდითო.

ჩხეიძე 23 მარტას თარიღით სწერდა: არასოდეს „დროებისადმი“ საყვედური არ მითქვამსო, „დროება“ 25 მარტს უპასუხებს: ერთი წერილი არ დაუწერია ოთხი წლის განმავლობაში, რომ ჩვენდამო საყვედური არ გამოეთქვასო. ჩხეიძე სწერდა იმავ 23 მარტას თარიღით: დეპუტატი კაკი წერეთლის პიროვნების დაფასებაში ყველა შეერთდა განურჩევლათ მიმართულებისა, ყველა აღტაცებას გამოსთქვამდა მისი რაინდული ბუნების, ორატორული ნიჭის, შეურყეველი რწმენის, თავდავიწყების როგორც მებრძოლის და სხ. შესახებო, მისი მოგონება დღესაც მესამე დუმას თავს დასტრიალებსო და სხ.

„მაგრამ ყველა ჩვენგანს ახსოვს, რომ ჩვენებურ პრესაში ჩვენმა მოპირდაპირეებმა ძალა დააყენეს თავს, რომ რაც შეიძლება ჩვენი ამხანაგის (კაკი წერეთლის) პიროვნება და მისი მოქმედება დაჩრდილული დარჩენილიყო“.

კაკი წერეთელზე იმიტომ ამბობს ორიოდე სიტყვას ჩხეიძე, რასაც იქვე თითონვე განმარტავს, რომ ნათლათ დაანახოს ყველას, თუ როგორ ცდილობდენ და ცდილობენ „დროების“ ბანაკიდან ჩვენი დეპუტატების მოქმედებათა დაჩრდილვას. „დროებას“ კი ასე ესმის ჩხეიძის აზრი:

...ამ წერილში ყველაფერია, ისიც, რომ დეპუტატი კაკი წერეთელი შესანიშნავი ორატორი და მოღვაწეა, ისიც, რომ „დროება“ მასალას არ აწვდის...

ასე აუკუღმართებს, სისტემატიურათ ამახინჯებს ჩვენი დეპუტატების წერილებს „დროება“, რის გამოც ხშირათ მკითხველთან მაბეზღარის როლშიც გამოდის და როცა მას ამას მოაგონებენ,—ჯავრობს,

„რაც შეეხება უკანასკნელ აზრს, ვითომ ჩვენ დეპუტატებს „ვაბეზღებდეთ“ და საზოგადოებას «ვაფრთხობდით“ პირდაპირ ცილისწამებაა“-ო ამბობს „დროება“.

„დროება“ მართალია.—მას არც შეუძლია საზოგადოების „დაფრთხობა“. რაც შეეხება დეპუტატების დაბეზღებას კერძოთ პარნაუთელებთან, ამის ნიმუშები მოყვანილი გვქონდა „დროები“-დანვე ჩვენი გაზეთის მე-28 ნომერში, პრესის განყოფილებაში, რაზედაც «დროებას»

ჯერ პასუხი არ მოუცია. არ შეგვიძლია აქვე ჩვენი მკითხველების ყურადღება არ მივაქციოთ „დროების“ შემდეგ სტრიქონებს:

„რაც შეეხება კერძოთ პარნაუთელებს, თუ რამდენათ გული შესტკივათ დეპუტატებს მათთვის, სჩანს ამას წინათ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ თავდგირიძის წერილიდან. როდესაც პარნაუთელები სოხუმში დეპუტატ გეგეჭკორთან მისულან და თავიანთი დარდი შეუჩივლიათ, ამ უკანასკნელს უთქვამს,—დასწერეთ რუსულათ თხოვნა ჩემს სახელზე და მომართვით. გლეხები მართლაც გაქცეულან სხვაგან და დაუწერინებიათ თხოვნა. გულშემატკივრობაც ასეთი უნდა!

თუ არ უთქვამს დეპუტატ გეგეჭკორს: რუსულათ დასწერეთ თხოვნა და **მომართვითო**, რას იზამს მაშინ „დროება“?... „დროების მხრით საკმაო იყო ისიც, რომ ამის შესახებ ნიკო თავდგირიძეს წერილი დაუბეჭდა და უნდა დაეცადა რას იტყოდა გეგეჭკორი, შემდეგ კი თითონაც დასდებდა მსჯავრს. ასე მოიქცევა ყველა, ცოტათ თუ ბევრათ, რიგიანი გაზეთი, რომელიც იდეური მოპირდაპირის პიროვნებას აფასებს, მარა ასე არ იქცევა „დარბაისელი გაზეთი“. დასასრულ „დროება სწერს:

„თუ ხალისი აქვს ბ-ნ ჩხეიძეს ლანძღვისა, რამდენიც უნდა ლანძღოს ჩვენი საზოგადოება და ნურც ჩვენ დაგვზოგავს, მაგრამ შევკადრებთ და მოვახსენებთ, რომ ამით არავითარი საქმე არ გაკეთდება და ვერც თავიანთ საქმიანობას დაგვიმტკიცებენ.

გამოდის, თითქოს ჩხეიძე „ლანძღვის ხალისზე“ იყოს,—„დროებაც“ ნებას აძლევს—რამდენითაც უნდა ლანძღოს ჩვენი საზოგადოება. ნამდვილათ კი, ჩხეიძის წერილში ერთ ურიგო, სალანძღავ სიტყვას ვერ ნახავთ ვინმესადმი მიმართულს. არც **იმას ამტკიცებენ ჩვენი დეპუტატები, რომ** ბევრ საქმეებს ვაკეთებთო, ეს არც საჭიროა მათი მხრით, ვინაიდან—ვისაც ეინტერესება მათი საქმიანობა, მათ საქმეებს გაეცნობა და თუ „დროებასავით“ არ დაამახინჯებს, შესაძლოა, შიგ გაკეთებულიც ნახოს.

## სახელმწიფო დუმა

(საკ. დეპ.)

**24 მარტი.**

24 მარტის სხდომაზე ჩერნიცკი მოხსენებას აკეთებს, რომ სასამართლოთა რეფორმების კომისიამ განიხილა რა 33 წევრის განცხადება მოწესრიგებულ იქნას სოფლის მცხოვრებთა მიერ ფლანგვის წინააღმდეგ აპეკის დანიშვნა და წინადადებას იძლევა მიიღოს კომისიის მიერ შემუშავებული ძირითადი დებულებები. შინაგან მინისტრის ამხანაგი ლიკოშინი თანაგრძნობით შეხვდა ამ განცხადებას და აღუთქვა, რომ შეიმუშავებს საჭირო კანონ-პროექტს. პროექტის წინააღმდეგ ლაპარაკობენ ჩერნოსვიტოვი, ბულატი, კროპოტოვი, მიაგკი. მომხრენი არიან: ტიმოშკინი შიდლოვსკი, ბელოგუროვი, სპირინი და ფომინი. კენჭის ყრით დუმა სასურველათ სცნობს კანონ-პროექტის შემუშავებას. შემდეგ დუმა ღებულობს 33 წევრის წინადადებას შესდგეს 33 წევრისაგან კომისია ქალაქათ და სოფლათ ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგ ზომების გამოსამუშავებლათ.

ანტონოვი მოხსენებას აკეთებს სასამართლოს დაწესებულებების უმცროს კანდიდატების ჯამაგირების დანიშვნის შესახებ. საბჭოს დადგენილებას დუმა ღებულობს. სათანადო მოხსენებას აკეთებს ორთქლის ქვაბების წესების შესახებ შეთანხმებულ კომისიის დასკვნაზე. კენჭის ყრით დუმა ღებულობს შემთანხმებელი კომისიის წინადადებას. შემდეგ ღებულობენ 25 წვრილ კანონ-პროექტს და სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა დანიშნულია 26 მარტს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**25—26 მარტი.**

### სპარსეთი

**თავრიზი.** შინაური სესხის პირობები შესცვალეს: განზრახულია 10 პროც, რომელიც დაფარულ უნდა იქნას ათი წლის განმავლობაში. მიუხედავათ ასეთი ხელ-საყრელ პირობებისა, ფულს არავინ იძლევა. სარდარ ბოგადურის და ეფრემის რაზმები არდებილისკენ ვერ მიდიან, რადგან ჯამაგირების დასარიგებლათ საჭიროა 15,000 თუმანი ვერ უშოვნიათ.

**თავრიზი.** სოუჯ-ბულახში მოკვდა გერმანელი ინჟინერი პრინც იმამ კულისთან მოსალაპარაკებლათ ურმიის ტბაზე გემთა მიმოსვლის მოსაწყობათ. სოუჯ-ბულახიდან ურმიამდე ყველა გზებზე ოსმალელი სალდათები ქარავანს ფულებსახდევინებენ, ტვირთზე ერთ კრანს. დეჰბელ კენდში, რომელიც უმთავრეს საქარავნო გზაზეა ოსმალეთის დამოენა მოქმედობს, რომელიც ტვირთზე 10 პროც. ახდევინებს.

**თეირანი** კაბინეთის მდგომარეობა რყევაშია. საგარეო საქმეთა მინისტრი გადადგა.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** პრიშტინსკის ოლქში უკმაყოფილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მუნიციპალიტეტმა აკრძალა მთავრობის მიერ ნება დართული, ქალაქში შემოტანილ სანოვაგე გადასახადი. ალბანელმა დეპუტატებმა დაადგინეს სთხოვონ მთავრობას ნუ მიიღებს სასტიკ ზომებს, მაგრამ მთავრობამ გადასწყვიტა ენერგიულათ იმოქმედოს. იპეკიდან იტყობინებიან, რომ გუშინ პრიშტინის ახლოს შეიარაღებულ ბრბოს შეტაკება მოუვიდა ჯართან.

### რუსეთი

**ადესა.** დატუსაღეს გოროდოვი, რომელმაც სათადარიგო ჯარის კაცთა არეულობის დროს ერთი სათადარიგო ჯარის კაცი მოკლა. ბოქაული ადგილიდან გადააყენეს.

**დონის როსტოვი.** ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს ოთხი კაცი, რომელთაც 1905 წელს ებრაელთა აწიოკების დროს ებრაელ სტუდენტის მოკვლას აბრალებდენ.

**ადესა.** სამოსამართლო პალატამ გაამართლა ნაფიცი ვექილი ბროდსკი, რომელიც სხვა სახელის დარქმევისათვის საოლქო სასამართლომ 100 მანეთით დააჯარიმა.

**სუვალკი.** კვირას კათოლიკეთა ეკლესიაში ვოლკოვისკის მაზრის სოფ. ვიშტინეცში პოლონელებს და ლიტველებს შეტაკება მოუვიდათ. დაიჭრა რამდენიმე კაცი. შეტაკების მიზეზი იყო ის, რომ ეპარქიალურმა მთავრობამ სოფლელ ლტველებს აუკრძალა სამშობლო ენაზე გალობა.

**ჰელსინგფორსი.** სეიმში საზოგადო სახელმწიფოებრივ კანონმდებლობის შესახებ კამათის დროს, რომელიც ხუთ საათს გაგრძელდა, ილაპარაკეს ს.-დემოკრატებმა ირიემ, მიაკელინმა, დანიელსონმა, კალმარიმ, ვრედემ და ნიუბერგსონმა. პირველმა სასტიკათ გაჰკიცხა კანონ-პროექტი, როგორც სახელმწიფო „პერევოროტი“ და მოითხოვა მისი სეიმის კომისიაში გადაცემა, არა განსახილველათ, არამედ—აღსანიშნავათ, რომ ის უკანონოა; თუმცა საჭირო იყო მისი ეხლავე უარყოფა. კალმარი შეეხო კანონ-პროექტს ისტორიული მხრით და სასტიკათ გააკრიტიკა და დაასრულა შემდეგი სატყვებით: მიუხედავათ პარტიულ განსხვავებისა, ფინლიანდიის ხალხი მაგარია და დაამტკიცებს, რომ ღირსი არის არსებობის. შებერგსონი შეეხო კანონ-პროექტის შემუშავებას: წინათ ასეთ კანონ-პროექტებს ადგენდენ გენერალურ შტაბის აფიცრები, ეხლა კი მეპოლიტიკე იურისტები. კანონ-პროექტის ნაკლულოვანებაში ბრალს ვერ დავსდებთ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, მას უნდა აერჩია უკეთესი თანაშემწეები. კალდიომ დაბეჯითებით განაცხადა, რომ ეს კანონ-პროექტი თავის დღეში კანონათ ვერ იქცევა ფინლიანდიაში. სეიმის დაცინვაა, მოსთხოვონ მას იმ კითხვის შესახებ დასკვნა, რომელიც რუსეთში უნდა გადაწყდეს. სეიმის დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი.

**ჰელსინგფორსი.** დიდი კამათის შემდეგ, ირის, მეხელინის, დანიელსონის, კალმარის და სხვების მონაწილეობით, სეიმმა დაადგინა გადასცეს უმაღლესი წინადადება საზოგადო სახელმწიფოებრივ კანონმდებლობის შესახებ, ძირითად კანონების კომისიას.

**სარატოვი.** სამხედრო სასამართლომ 26 კაცთაგან, რომელთაც სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის წევრობას და სხვადასხვა თავდასხმებს აბრალებდენ, ორს გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა, თერთმეტს კატორღა 2—20 წლამდე, ექვსს გადასახლება და ექვსი გაამართლა.

**გროდნო.** სოკოლკაში სამმა ბოროტ-გამზრახველმა მოინდომა ხაზინის გაძარცვა. მოდარაჯე სალდათმა ერთი მათგანი დასჭრა. ბოროტ-მოქმედნი გაიქცენ.

**მოსკოვი.** ანიდინის წარმოების სადგომში დილით ნახეს ოთხი დაჭრილი მეარტელე. ამათგან სამი მოკვდა. მეოთხე უგრძნობლათ არის. გაძარცვის ნიშნები არ არის. იპოვნეს იარაღები: გირები, დანა და სხვ.

**პეტერბურგი.** საიდუმლო პოლიციამ ვასილიევის კუნძულზე აღმოაჩინა კრება. დაიჭირეს შვიდი მოსწავლე ახალგაზდობა. რევოლიუციონერთა პროპაგანდისტი.

**გროდნო.** სამხედრო-საოლქო სასამართლომ ვიატკის პოლკის სალდათს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა 26 თებერვალს პოლკოვნიკ ნიკიტინის დაჭრისათვის.

## ბ-ნი ახალი აღარ ხუმრობს!

როდესაც ბ-ნი ახალის წერილი წავიკითხე „დროების“ მე-35 ნომერში ჩემი ფელეტონების ერთი ნაწილის შესახებ, სრულიად გულწრფელად გამეცინა და „დროების“ ნომერი განზე გადავდევი. პასუხი არ მიფიქრია, რადგან ცოტა ლიტერატურული ეთიკაცაა საჭირო და საზოგადოებას თავი არ უნდა მოვაბეზროთ ისეთ საგნებზე კამათით, რაც თავის თავად ცხადია. მაგრამ ბ-ნ ახალს ხსენებულ საგანზე კამათი სრულიად არ მიაჩნია როგორც ეს მის მეორე წერილიდან სჩანს, ზედმეტათ. პირიქით, იგი მტკიცეთ ადგია თავის მიერ ერთხელ გამოთქმულ აზრს და მეც მოვალეთ ვთვლი თავს ორიოდე სიტყვით ვუპასუხო ბ-ნ ახალს. დავიწყოთ თავიდან.

ჩემს ფელეტონში ზოგადი მოსაზრებანი მქონდა გამოთქმული ქართულ ლიტერატურაზე.

სხვათა შორის ვეხებოდი ბ-ნ ა. შანშიაშვილს და მისს კრიტიკოსს. იქვე მოვიხსენიე ი. გრიშაშვილიც და შემდეგ ჩემი შეხედულება გამოვთქვი იმ სურათზე, რომელსაც უხატავენ მკითხველთ მუშათა მწერლები. ცხადია, არც შანშიაშვილისა, არც გრიშაშვილისა და არც რუხაძეებისათვის ცალკე კრიტიკისა და გარჩევის წერა არ მქონია განზრახვათ, იმ დროს მაინც. მე მხოლოდ საერთო შთაბეჭდილებანი გავუზიარე მკითხველთ, რაც მივიღე ამ უკანასკნელ ხანებში ქართულ ლიტერატურის მოვლენებში ჩაკვირვებისაგან. ცხადია, შეუმცდარი არავინ არაა, მაგრამ ის მაინც, რაშიაც ბ-ნი ახალი წუნსა მდებს, არა მგონია არ იყოს სასაცილო.

ბ-ნმა ახალმა მიდგომილება დამწამა. მტკიცება დამიწყო,—რავა არ წერს ა. შანშიაშვილი მუშათა საქმეზე, აი შეხედე—და მოყავს ჩემი ტექსტი, რომელიც ჩემ „ფავორიტა პოეტების დასახასიათებლათ მაქვს მოყვანილი“ და შიგ ურთავს ა. შანშიაშვილის ლექსებს. მე არ ვიცნობ ბ-ნ ახალს, მაგრამ მისი წერილის კილო მაფიქრებინებს, რომ იგი არც ისე ახალი და გამოუცდელია ლიტერატურისათვის, რომ მივუტევოთ საქმის ასე ზეზეურათ მტკიცება-გარჩევა. ბ-ნ ახალს უნდა მოეხსენებოდეს, რომ 1) ერთსა და იმავ თემაზე წერა სხვადასხვა პოეტებს ვერ გაათანასწორებს ღირსების მხრივ; 2) რომ ჩემს ფელეტონებში ლაპარაკი იყო ა. შანშიაშვილის პოეზიის მთავარ მოტივზე, იმ მოტივზე, რომელსაც **მხოლოდ და მხოლოდ** შეხვდებით ამ უკანასკნელ ხანებში მის ლექსებში, და მაშასადამე, რაც უფრო მწიფდება ა. შანშიაშვილის ნიჭი, მით უფრო მტკიცეთ იდგამს ფესვებს მის პოეზიაში.

ბ-ნ ახალს მოეხსენება აგრეთვე, რომ ამ მხრივ ა. შანშიაშვილის პოეზიის უმთავრესი მოტივი **ნაციონალისტურია**, მისი უკანასკნელი ლექსები („ლერწამი“ და სხვ.) ან სამშობლოზეა და აკაკისა, ვაჟასი და დუტუ მეგრელის აზრების გადალექსვაა, ან კიდევ სიყვარულზე და შავ თვალებზეა დაწერილი. მუშაზე, მუშათა საქმეზე, იმაზე, რაზედაც დამყარებულია ჩვენი მომავალი იმედი, ჩვენი სამშობლოს ბედიც,—ა. შანშიაშვილს ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ **არაფერი დაუწერია**. კიდევ ვიმეორებ, არაფერი დაუწერია. თუ ცოტა მიუდგომლობას გამოიჩენს ჩემი მოპირდაპირე და თვით ა. შანშიაშვილს დაეკითხება—დამეთანხმება ამ ჩემ მიერ გამოთქმულ აზრში. დამეთანხმება იმაშიაც, რომ ის ლექსები, რომელიც ბ-ნ ახალმა ჩემ ტექსტებში ჩაურთო იმ აზრის დასამტკიცებლათ, რომ ა. შ—ლი მუშებზედაც სწერსო, ძველ ლექსებშია, რომელიც ა. შ—ლის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის პირველ ხანებს ეკუთვნის, ე. ი. იმ ხანებს, როდესაც ძლევა-მოსილ თავისუფლების ცეცხლი ჯერ კიდევ არ ჩამქრალიყო სრულიად. დამეთანხმება იმაშიაც, რომ იგი რევოლიუციის ზეგავლენითაა დაწერილი ისე, როგორც სწერდენ, რაც სამართლიანათ აღნიშნა ბ-ნმა მიროზამ,—ბალმონტი, სოლოგუბი და სხვ.

არა მგონია ბ-ნი ახალი გამომეკამათოს იმაშიაც, რომ თვით ავტორს ა. შ—ლს არ მიაჩნია ბ-ნ ახალის მიერ მოყვანილი ლექსები თავის პოეზიის დამახასიათებლათ. თუ გინდათ პოეტის მიმართულების დამახასიათებელი ლექსები აარჩიოთ, ერთი საშუალებათაგანია, თვით პოეტის აზრი. ამ მხრივ ცხადია, ის ლექსები, რომელიც ა. შ—ლმა თავისი რედაქციით მ. გაჩეჩილაძის „ჩანგში“ მოათავსა თავის სურათთან ერთად, თვით მას მიაჩნია თავის საუკეთესო და დამახასიათებელ ლექსებათ და ჩვენც ამ აზრისა ვართ. რასაკვირველია, იქ მოთავსებულ ლექსებში ერთი სიტყვაც არაა იმაზე, რასაც მუშათა საქმე ეწოდება. იქ მოთავსებულია ა. შ—ლის ლექსები სამშობლოზე და ერთიც თარგმანი ბალმონტიდან მისი ლექსის „хочу быть дерзкимъ, хочу быть смѣлымъ“... ეს ლექსი ჰიმნია პირადი სიამოვნების კულტისა და წყევაკრულვა საზოგადო საქმისადმი. იგი ასე თავდება:

**დაე, ხვალ ბედმა კვლავ ფრთა გაშალოს,**
**დღეს სხვას ვუმღერ ჩემს სულს ალგზნებულს;**
**ბედნიერი ვარ კვლავ სატრფოსთან,**
**დღეს თავხედი ვარ, მე ეს ასე მსურს!**

ცხადია რაშია საქმე. ორიგინალურ ლექსებში, რომელიც „ჩანგშია“ მოთავსებული პირადათ მე ყურადღებას ვაქცევ «მთვარიან ღამეს». პოეტი აღწერს საკმაო ფერადებით მთვარიან ღამეს და შემდეგ „შავი ფიქრებით გარემოცული“ ნიავს ავალებს, გაჰქროლე ჩემ სატრფოსკენ და ამბავი მომიტანე, «რას შემოუთვლის დაღონებულ სულსო». იქვე სხვათა შორის ნათქვამია:

„...იქვე სამშობლოს მახინჯნი მგლნი,
ფეხქვეშ თელავენ ერის დიდებას,
ედემის ბაღს უდგთით სჯიჯგნიან,
აღარ აცლიან კვლავ აყვავებას“.

თქვენი არ ვიცი, ხოლო ეს ადგილი მე ვაჟა-ფშაველას იმ ლექსს მაგონებს, რომლის დაბეჭდვისათვის პოეტის ლექსთა კრებულში მ. გაჩეჩილაძემ ბოდიში მოიხადა წიგნის ხელის მომწერთა წინაშე და რომელიც მუშათა წინააღმდეგ იყო მიმართული.

ყველა ამის შემდეგ ცხადია თუ რა ღირებულება აქვს იმ, ჩემის აზრით, მეტად სუსტ ლექსებს, რომელიც ბ-ნ ახალმა ჩემს ტექსტში ჩაურთო. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ის დამახასიათებელი დებულებანი, რომელიც მე მქონდა მოყვანილი მუშათა პოეტებისათვის, ბ-ნ ახალს ყველა არ მოუყვანია. ასეთი შთაბეჭდილება რჩება მკითხველს, თითქოს ყველა ტექსტი რომ ამოეწერა ბ-ნ ახალს, იმ შემთხვევაში ბ-ნ შ—შვის ლექსები ხსენებულ თემაზე არ ეყოფოდა. თუმცა ბ-ნი ახალი გვარწმუნებს, რომ «ამ თემაზე (მუშათა საქმეზე) ჩვენს ახალგაზდა მგოსანს მრავალი ლექსი აქვს დაწერილი და გაცილებით უფრო ნიჭიერათო,“ მაგრამ არ გვგონია, რომ თვით ბ-ნ ახალს არ ამოეწერა ეს „უფრო ნიჭიერათ“ დაწერილი ლექსები. აქ მე ვფიქრობ იმან უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და, ეჭვი არაა, შემთხვევას არ გაუშვებდა, არ ამოეწერა, რომ ეს „უფრო ნიჭიერად დაწერილი“ ლექსები საზოგადოთ არსებობდენ...

არ მგონია ბ-ნი ახალი საზოგადოთ რაიმე ყურადღებას აქცევდეს ისეთ ლექსებს, რომლებშიაც დაპირებაა გამოთქმული. ამ მხრით მეცდომაა მის მიერ შ—შვილის ლექსზე „წყლის პირას მარტო“ მითითება. მე მეძლება გუშინ წინ მუშებს შევფიცე ერთგულება, ხოლო შემდეგ სულ სხვაგან მოვიკალათე. ასეთ ლექსებს ჩვენ ბევრს ვკითხულობთ, იქ პოლიტიკური პროგრამმაცაა გალექსილი, მიწის საკითხიც და სხვა, მაგრამ თავის თავათ დაწერილი პროგრამმის საზოგადო ღირებულებაზე მე და ბ-ნი ახალი არა მგონია სხვა და სხვა აზრისანი ვიყვნეთ.

ჩემს წერილში მე, როგორც ზევით ვთქვი, საზოგადოთ ვეხებოდი იმ პოეტებს, რომელნიც „ახალ სხივში“ სწერენ. მათ დასახასიათებლათ მომყავდა მათი საყურადღებო ლექსები. აღწერილი მქონდა ის საერთო სურათი, რომელსაც წარმოადგენდა ის საქმე, რომელსაც ჩვენი ახალგაზდა მგოსნები უმღერდენ. ბ-ნ ახალმა ზოგიერთი დებულებანი ამოწერა ჩემს წერილიდან, ხოლო რუხაძისა, ქუჩიშვილისა, თურდოსპირელისა, ზომლეთელისა, ბაბილინასი, ლეჩხუმელისა, ტუქსიშვილისა და მალაქიაშვილის ლექსების მაგივრათ ა. შანშიაშვილის ლექსები ჩაურთო და დასკვნა: „გამოდის, მარტო ერთმა ა. შანშიაშვილმა არა ნაკლებ დაგვისურათა ის, რაც შესძლეს ერთათ ბ-ნ მხეფელის ყველა ფავორიტებმაო.“ ეს ერთნაირი ფანდია, ჩემის აზრით ბ-ნ ახალის დამახასიათებელი და საზოგადოთ არა საკადრისი... მე ადგილობის და უდროობის გამო არ ამომიწერია „ფავორიტების“ ყველა საყურადღებო ლექსები, არც ცალ-ცალკე გამირჩევია ყველა მათგანი. ბ-ნი ახალი სარგებლობს ამ შემთხვევით და ირწმუნება: ერთი მხრით რუხაძეები, მეორე მხრით ა. შანშიაშვილიო. არა მგონია გამოჩნდეს ისეთი უვიცი ვინმე, რომ ბ-ნ ახალის ტრაბახმა მასში ღიმილი არ გამოიწვიოს.

დასკვნა: ა. შანშიაშვილის პოეზიის მთავარი მოტივი მუშათა საქმე და თავისუფლება კი არაა, არამედ—სამშობლოს სიყვარული, რომელსაც ა. შანშიაშვილამდე ნაციონალისტების ყველა პოეტები უმღერდენ და რომელშიაც მე პირად ვერავითარ აზრს ვერ ვპოულობ ისე, როგორც ვერ ვპოულობ აზრს რომელიმე გაკოტრებული ქართველი თავადის ან აზნაურის სიტყვებში, რომელსაც იგი მთვრალი წამოისვრის—„სამშობლოს გაუმარჯოსო“. მეორე მოტივი ა. შანშიაშვილის პოეზიისა შავი თვალები და სიყვარულია. აქედან ცხადია, რამდენათ მართალია ბ-ნი ახალი ჩემთან კამათში.

არას ვამბობ ბ-ნ ი. გრიშაშვილზე, რადგან მას შემდეგ, რაც ჩემი შენიშვნა დაიბეჭდა, მას ისეთი არაფერი დაუწერია, რომ მასზე შეხედულება შევიცვალო. სწერს მხოლოდ სიყვარულზე, რაიც მე უაზრობათ მიმაჩნია განსაკუთრებით მგოსნისათვის მაშინ, როდესაც სხვა ათასი საკითხი უდგას წინ გადასაწყვეტათ მის მშობელ ერს და ამ ერის ბურჯს, მშრომელთა კლასს. **მხეფელი.**

ხარკოვი.

## ახალი ცირკულიარი.

როგორც გაზეთი „რუსსკია ვედომოსტი“ გადმოგვცემს, პოლიციის დეპარტამენტს გუბერნატორებისა და ჟანდარმთა სამმართველოების უფროსებისათვის ცირკულიარი დაუგზავნია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ამას წინათ პარიზში მომხდარ თათბირზე ტაქტიკური მიზნით შეერთდენ რუსეთის სოციალდემოკრატიული ფრაქციები და ჯგუფები მენშევიკები, ბოლშევიკები, ოტზოვისტები, ულტიმატისტები და სხვ... ცენტრალური კომიტეტისაგან მიღებული ტაქტიკური რეზოლიუცია მოუწოდებს ს. დ. პარტიის წევრებს მიიღონ მონაწილეობა არა მარტო არალეგალურ, არამედ—ლეგალურ, კულტურულ და საზოგადოებრივ ხასიათის მოღვაწეობაში (პროფეს. კავშირებში, კოოპერატივებში, განმანათლებელ საზოგადოებებში, ერობებში, ქალაქის თვითმართველობებში, სიეზდებში და სხვ...) ამასთანავე იმ პირებს, რომელნიც ლეგალურ ნიადაგზე მუშაობენ და სოც.-დემოკრატიულ პარტიას თანაუგრძნობენ, წინადადება ეძლევათ პარტიაში შევიდენ და პარტიული ორგანიზაციები დააარსონ.

ცირკულიარის შინაარსი აცნობეს აგრეთვე პროკურორებს. ზოგიერთ გუბერნიებში თანამდებობის წარმომადგენელ პირთა თათბირი მოხდა, რომელზედაც დაადგინეს სისხლის სამართლის დებულების 102 მუხ. გამოიყენონ ახალი მიმდინარეობის წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

## ახალი ამბები

✦ **კავკასიის უმაღლესი სასწავლებლის შესახებ თათბირი** ახლო მომავალში შესდგება. თათბირს გამართავს კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ვაცაძე. თათბირში მონაწილეობას მიიღებს სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი, რომელიც პეტერბურგიდან უკვე დაბრუნდა.

**✦ ჟურნალისტების კრება.** ხუთშაბათს 25 მარტს, შესდგა პატივის აღმდგენელ სასამართლოს წევრთა კრება მოხდა ნაგურსკისა და ყიფიანის შეკითხვა. შეკითხვამ საღამოს 8 საათიდან ღამის პირველ საათამდე გასტანა. დაკითხვა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. შემდეგი სხდომა დანიშნულია დღეს; შეკითხებიან მიჩხოევს. როგორც ამბობენ, ეს საქმე აღდგომამდე არ დამთავრდება.

**✦ საზოგადოება „კაპეიკა“.** ქალაქის გამგეობამ ნება დართო საზოგადოება „კაპეიკის“ გამგეობას გამოჰკიდოს ქალაქის თვითმართველობაში სამი ყუთი შეწირულების შესაგროვებლათ.

**✦ გაზეთების დაჯარიმება.** გაზ. „ზაკავკ.“ და ჟურნალი „ჩვენი ნაბიჯი“ თფ. გუბერნატორმა თითო ას-ასი მანეთით დააჯარიმა თუ ჯარიმებს ვერ გადაიხდიან, იმ შემთხვევაში რედაქტორები ექვს-ექვსი კვირით ციხეში სასჯელს მოიხდიან.

**✦ მეყასბეთა ახალაგმავათ** ქალაქის გამგეობამ ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო მთავარ ზედამხედველს ბაბოვს დაავალა, მოხსენება წარმოადგინოს იმის შესახებ, თუ რა ზომები იქნეს მიღებული მეყასბეთა ახალაგმავათ, რომელნიც, მიუხედავათ დღევანდელ ნიხრისა, ხორცს მაინც ზედ-მეტ ფასებში ყიდიან.

**✦ მგარი სასმელების სავაჭროები.** თფილისის პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რათა გოლოვინისა და მიხაილოვის ქუჩებზე მაგარ სასმელებით არ ივაჭრონ, რადგან სავალდ. წესების ძალით იქ ასეთი ვაჭრობა აკრძალული ყოფილა. ყველა ამგვარი სასმელებით მოვაჭრეებს წინადადება მიეცა დახურონ თავიანთი სავაჭროები, ან და სხვა რომელიმე ადგილას გადაიტანონ ისინი.

**✦ ფულის გაფლანგვისათვის** ადელხანოვისა და კომპ. ქარხნის გამგე კალატოზოვი პოლიციამ შეიპყრო და მეტეხის ციხეში გაგზავნა. კალატოზოვს ხსენებულ ქარხნის დიდ ძალი ფულის გაფლანგვას აბრალებენ.

**✦ სახაზინო თეატრი.** დღეს. საღამოს 8 საათზე, ნ. ი. აბრამოვიჩი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ვ. ფ. კომისარჟევსკაია და თანამედროვე თეატრი“.

**✦ მეყასბეთა ოინები.** ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ ხორცი და სხვა სანოვაგე გაძვირებულაო. როგორც ამბობენ, ეს ხმების მსხვილ მოვაჭრე—მეყასბეებს გაუვრცელებიათ. გუბერნატორი პოლიცმეისტერს წინადადებას აძლევს გაიგოს—თუ რამდენათ მართალია ეს ხმები.

**✦ სახელმწიფო ბანკის კანტორა თფილისში.** როგორც გაზეთები იუწყებიან, სახელმწიფო ბანკის კანტორა თფილისში აღდგომის მესამე დღეს გაიხსნება. ამ დღისათვის მოწვეულნი არიან ფინანსების და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრები კოკოვცევი და ტიმაშევი.

**✦ ბიბლიოთეკა სოფლათ.** ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობის შუამდგომლობით ს. გომახურში, გურიაში, გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო. საზოგადოებას განზრახვა აქვს ახლო მომავალში ბიბლიოთეკისათვის საკუთარი შენობა აგოს.

**✦ საბუთების მოთხოვნა.** თფილისის გუბერნატორი ქალაქის გამგეობას ავალებს, რათა ყველა დაბეჭდილი საბუთები,—მოხსენებები, ხარჯთ-აღრიცხვანი და სხვა... ქალაქის გამგეობის მიერ ადგილობრივ მეურნეობის მთავარ სამმართველოში იქნეს წარგენილი.

**✦ სანიტარ ექიმები.** ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა მოიწვიოს ქალაქის 3 სანიტარი ექიმი და თითოს 1500 მ. დაენიშნოს ჯამაგირი წლიურათ. თხოვნები მიიღება 15 აპრილამდე.

**✦ ქალაქის გეგმა.** ახლო მომავალში ქალაქის საბჭოს გამგეობა მოხსენებას წარუდგენს ქალაქის ახალ გეგმის შედგენის შესახებ. თფილისს ჯერ არ ქონებია მთავრობის მიერ დამტკიცებული ქალაქის გეგმა. გეგმისათვის საჭირო ცნობების შეკრება ინჟენერ აბელოვს და მიწის მზომელ მელიქ-ალახვერდოვს მიენდო.

**✦ შეერთებული სხდომა.** დღეს დანიშნულია ქალაქის გამგეობისა და ქალაქის ყველა აღმსრულებელ კომისიების თავმჯდომარეთა შეერთებული სხდომა, რომელიც განიხილავს ქალაქის მიერ შემუშავებულ ინსტრუქციას, ქალაქის მთავარ კონტროლიორის სახელმძღვანელოთ.

**✦ საბავშო კითხვები.** ხვალ, 28 მარტს, ავჭალის აუდიტორიაში, ქ-ნი ელიავასი გამართავს საუბარს «კივ ქვეყნებზე». დასაწყისი 10 საათზე. ამავე დღეს სამკურნალო საზოგადოების დარბაზში ქ-ნი ბერიშვილი წაიკითხავს: „მაღაროში მომუშავე ბავშვები“. დასაწყისი 11 საათზე. ავლაბრის აუდიტორიაში ქ-ნი ასათიანისა წაიკითხავს: „ბიძია თომას ქოხი“. დასაწყისი 11 საათზე.

**✦ შუამდგომლობა.** ბათუმის ქალაქის საბჭომ ბათუმის ქალაქის თავის მოადგილის გ. დ. ჟურულის მოხსენების თანახმათ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას ვაჭრობა-მეწველობის მინისტრის წინაშე, რათა ბაქოდან ბათუმამდე ნავთის გადმოზიდვის ტარიფი შემცირებულ იქნას ფუთზე 3 კაპეიკით.

**✦ ბათუმის სესხი და ხარჯთ-აღრიცხვა.** ბათუმის ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა 3 მილიონ მანეთის სესხის ნებართვისათვის. ქალაქის შუამდგომლობა ბათუმის ადმინისტრაციას თანაგრძნობით მიუღია და ამ ქამათ კავკასიის უმაღლეს მთავრობასთან არის წარდგენილი. 1910 წ ქალაქის შემოსავალი უდრის 476,771 მან. 78 კ. გასავალი: 475,329 მან. 19 კ. ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის საბჭოს მიერ მოწონებულია.

**✦ გადასახლებულის დაბრუნება.** კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწემ სამშობლოში დაბრუნების ნება დართო ვიატკის გუბერნიაში ადმინისტრატიული წესით გადასახლებულს, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებს დ. მ. კაცაძეს.

**✦ გაზეთის დახურვა.** ბაქოს გრადონაჩალნიკის განკარგულებით დახურულია გაზეთი „ვეჩერნაია ზარია“

**✦ ლექცია.** დღეს საღამოს 8 საათზედ ქართულ თეატრში გრ. რობაქიძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე. «რელიგია მშვენიერებისა».

**✦ იარაღის ტარებისათვის** 22 მარტს, პოლიციამ შეიპყრო ვ. მ. ბერიძე, ი. ი. მაისურაძე, გ. ე. გოდერზოვი. ო. ს. შერეშიანცი, ა. დ. პეთაშვილი, მ ი. სერაშვილი, ძმები ძნელაძეები და სხვები, რომელთაც ბრალდებათ ნება-დაურთველათ იარაღების ტარება.

**✦ ცეცხლი.** 25 მარტს ღამის 1 საათზე „ხლებნი ქუჩაზე“ მ. დ. ა. ოგანეზოვის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. ზარალი 200 მ. აღემატება. სახლი დაზღვეულია 120,000 მ.

**✦ რედაქციამ მიიღო** ახალი წიგნი,—დრამა 4 მოქმედებათ შედგენილი ბ. ხერხეულიძის მიერ.

**✦** 24 მარტს სოფელ ბეკმის მახლობლად ვიღაც ბოროტ-მოქმედებს მოუკლავს ჰკუაზე შეშლილი კაცი, ვინმე მქადაგებელი, რომელიც სურამის მახლობელ სოფლებში დადიოდა და ხალხს ვისაც კი შეხვდებოდა ეუბნებოდა; „მარხვა შეინახეთ დიდ მარხვაში, თორემ ღმერთი გაგიწყრებათო“ და სხვა. ხელში დიდი ბუკი ეჭირა და უკრავდა.

**გამოვიდა „მათრახ-სალამურის“** მე-13 ნომერი შემდეგის შინაარსით: „ორი მაგალითი“ ფონ-ტეფოსი; „სცენა რედაქციაში“—ეშმაკუნასი; „მჭედელი“ ნ. ჩხიკვაძისა; დეპეშები; „ამხანაგნესი“—გ. რუხაძისა“; „ორი ეშმაკი“; „მარადა»—კოდოსი; „მესტვირული“ (სამეგრელოსათვის)—ნადარასი; *,*—მალაქიაშვილისა; „სასაცილო პოეტები“ (ნატალია გიგაური)—ნაცერქქქიასი. წერილები რედ. მიმართ და კარიკატურები.

—

**გურია.** 19 მარტს მოხდა შემოქმედის საზოგადოების ყრილობა. ყრილობაზე ბოქაული მივიდა და შემდეგი გამოუცხადა ხალხს: „რაკინაც თქვენ ინახავთ ავაზაკებს და მათ რ სდევნით, ამისათვის უმაღლესი მთავრობისა განკარგულებით დაჯარიმებული ხართ 500 მანეთით. აგრეთვე დაჩქარებით შემოიტანეთ მიმდინარე წლის გადასახადებიო.

— 19 მარტს, დილის 12 საათზე სოფ. დიხაურში გზაზე პირადი ანგარიშებისათვის ვარ. გორდელაძემ რამოდენიმეჯერ ესროლა რეგოლვერი სიდ. გობრონიძეს. გობრონიძე მსუბუქათ დაიჭრა. ამის გამო ამავე დღეს დიხაურში მივიდა სტრაჟნიკების უფროსი და ხალხს მოსთხოვა გორდელაძე. ამავე ღამით გაძლიერებული ჩხრეკა იყო გორდელაძის შესაპყრობათ. 20 მარტს, დილით ადრე ამ საქმეზე მოიწვიეს მთელი დიხაურის საზოგადოების ყრილობა და გამოუცხადეს,—ჩქარა ჩაგვაბარეთ გორდელაძე, თორემ ჯარი მოვაო. ხალხმა მაზრის უფროსთან დეპუტაცია გაგზავნა. სამი დღის ვადა მისცეს. გორდელაძე ჯერ-ჯერობით ვერ ნახეს.

— 22 მარტს ოზურგეთში მოიტანეს სოფ. ძიმითში დაჭერილი 4 ყუთი გაუტენელი ყუმბარები, რომელიც დაიჭირეს 21 მარტს ღამით. სულ 46 ყუმბარაა.

— 18 მარტს ოზურგეთში იმერეთიდან ჩამოვიდა 50-მდე ცხენოსანი დარაჯი (სტრაჟნიკები). როგორც გადმოგვცეს, ამდენივე რიცხვი „სტრაჟნიკებისა“ დ. ჩოხატაურში დაბანაკებულა. ყველა ესენი ადგილობრივ ადმინისტრაციის დასახმარებლათ არიან გამოგზავნილი.

— ამავე დღეს ოზურგეთში ადგილობრივმა ქალაქის დარაჯმა მალაზონიამ უოგლათ უმიზეზოთ ფეხში დასჭრა მოსამსახურე ცისკარაძე. რის გამო მაზრის უფროსმა დარაჯი სამსახურიდან დაითხოვა.

— როგორც გავიგეთ ოზურგეთის მაზრის ხარჯის ამკრეფი ინსპექტორი, რომელიც დღემდე ფოთში სცხოვრობდა, ამ წლის 1 მაისიდან სათანადო მთავრობის განკარგულებით ოზურგეთში იცხოვრებს, რისთვისაც საჭირო ბინა უკვე დაუქირავებიათ.

— ამ დღეებში გაანთავისუფლეს ამას წინათ დაპატიმრებული იასე ჩხარტიშვილი.

— გურია სამეგრელოს ეპისკოპოსი დღონიდე ამ დღეებში უკვე გაემგზავრა ფოთში. მან გურიაში დაჰყო სულ 10—12 დღე. ინახულა სამრევლო სკოლები და ეკლესიები. როგორც გადმოგვცეს, ეპისკოპოზს რამდენიმე ეკლესია კიდევაც დაუკეტია.

— როგორც ამბობენ, ქალაქის თავი ბებურიშვილი ავათმყოფობის გამო სამსახურს თავს ანებებსო.

## წერილები ლონდონიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მე უკვე მოვიწერე ერთხელ, რომ ინგლისის უნივერსიტეტნი, რომელნიც დამოუკიდებლათ ღებულობენ არჩევნებში მონაწილეობას, იმპერიალისტ-კონსერვატორებს უჭერენ მუდამ მხარს. თვით კონსერვატორთა ცნობილი ლიდერი და ყოფილი პრემიერი ბალფური პატენტიანი ფილოსოფოსია და ნაწერებიც კარგა ბლომა აქვს მას გამოქვეყნებული. ეს ვითარება რუსეთში ალბათ ეუცხოებათ, მაგრამ ევროპაში ყურადღებასაც არავინ აქცევს მას. მით უფრო ნაკლებ ინგლისში, სადაც მოქალაქობრივი ცხოვრება არქი ნორმალურ კალაპოტში მიმდინარეობს, და აქედან მეცნიერების ტაძრებშიც მხოლოდ და მარტო განათლების „ღვთის-მსახურებას“ აქვს გასავალი. პროფესორები არც რუსეთში არიან ბედაურები **პოლიტიკაში**, აქ პირობებიც არ უწყობენ მათ ხელს ამისათვის.

მაგრამ არც სტუდენტობა თამაშობს ოდნავ როლს პოლიტიკურათ. ის სულაც არ განიცდის მის ახალგაზდურ პსიხიკაში საზოგადოებრივ ნჯღრევას და აქედან გამოწვეულ ტკივილებს, სამაგიეროთ, არც ფართე საზოგადოება გრძნობს მის არსებობას ქვეყნისათვის დიდათ სერიოზულ წუთებშიც კი.

სულ სხვასა ვხედავთ არა-სერიოზულ და **აპოლიტიკურ** წუთებში. მაშინ აქ სტუდენტობა დიდ მოდაშია, მას ხატვენ გაზეთებში, იგი გამოჰყავთ სინემოში, ტაშის ქუხილით ეგებებიან მის გამოსვლას... მკითხველი უეჭველათ მიხვდა რაზედა მაქვს აქ ბაასი. ინგლისელნი აღგზნებული სპორტსმენები არიან და სტუდენტნი კი მთლათ „შტერნი“ მათ შორის. ფიზიკური ვარჯიშობა და ნაძლავზე თამაში საზოგადოთ მათი თანდაყოლილი ხელობა, ბურთაობა, რიკ-ტაფელა, ცურაობა, მარულა და ბევრი სხვა ისეთი რამ საასპარეზო შემთხვევაა, რაც სტუდენტი ელვარე სახელს იხვეჭს მთელს სახელმწიფოში და „თითით საჩვენებელ გმირათ“ იქცევა მზგავსათ „სამშობლოს“ დიაკვნისა! უფრო ხშირათ და უფრო დიდის ზეიმით სხვადასხვა უნივერსიტეტთა სტუდენტების ურიერთ გამოჯიბრებას ეგებებიან ინგლისში. ლელოს გამტანი სტუდენტნი უნივერსიტეტის სიამაყედ იქცევიან ხოლმე.

ერთი ასეთი და **უპირველესი** გამოჯიბრება ჩემი თვალით დავინახე გასულ ოთხშაბათს, 23 მარტს ახ. სტილით ეომებოდენ ერთმანეთს ორი უძველესი და განთქმული უნივერსიტეტი: ოქსფორდი და კემბრიჯი. იყო ნავების მარულა მდ. თემზაზე, სიგრძით რამდენიმე კილომეტრი. თითო ნავზე ისხდა ცხრა სტუდენტი ამა თუ იმ უნივერსიტეტისა, ორივე ჯგუფს ჰქონდა განსაკუთრებული ფერადი დროშა, ჩაცმულობა და სხ. ნავების კროლვის აღწერას მე ვერ ვიკისრებ, თანაც „სპეციალისტი“ არა ვარ! თუ მეტოქეთ თავიც ისე განვითარებული და მახვილი აბიათ, როგორიც ხოპის მომქნევი მკლავები, მაშინ რა უჭირთ ინგლისელთ—მათი იდეალიც მიღწეული იქნება: „კარგ ტანში კარგი სული“. თუ არა-და, მართლაკ საშიშოა ტვინის ატროფია არ მოუვიდეთ მათ!

გამარჯვება დარჩა ოქსფორდს და ოვაციებსაც აღარა ჰქონდა დასასრული. ყოველ ნაბიჯზე ატუზულია „გმირების“ სურათები, უნივერსიტეტიც ხომ ოქროს ასოებით ჩასწერს მათ სახელებს თავის ანალებში. ყველა ინგლისელმა იცის იმავე დროს თითოეულ, უნივერსიტეტის ღვაწლი ამ მხრივ. ახლა მეც ვიცი ეს, მაშ, მკითხველმაც იცოდეს: ოქსფორდს გაუტანია 36 ლელო, კემბრიჯს 30. წელიწადში ერთხელ ხდება ეს „საეპოქო“ ამბავი, სახელდობრ, ნების კვირის ოთხშაბათს.

ლიბერალურმა გაზეთმა „დეილი ნიუსმა“ სამართლიანათ შენიშნა, რომ ამ დღეს სეირის დამსწრე ხალხში ვერ შეამჩნევთ კლასობრივ ან წოდებრივ განსხვავებას. ყველა, ცილინდროსანი და შეშველი, სწავლული და უსწავლელი თანაბარის აღტაცებით და თვალის ბრიალით უცქერენ მოჯიბრეთ. იყო მთელი ოკეანე ხალხისა, არასოდეს არ მინახავს ამოდენა. მე ვფიქრობ, მთელ ქართველ ერსაც არაფერს მისცემდა ის რაოდენობით! 90 პროც. მუშა იქნებოდა უეჭველათ. რა უნდოდათ ამათ აქ საქმიან დღეს? მაგრამ აკი ვთქვი, ინგლისის გატაცებაზე სპორტებით, მუშებს ეშმაკიც ვერ გააჩერებს ამ ორი-სამი საათის განმავლობაში ფაბრიკა-ქარხნებში, მეპატრონეც ხომ ვერ გაუბედავს მას წინააღმდეგობას ასეთ „დიდ საქმეზე“ დასწრებისთვის...

ა. ჩ.

## უკანასკნელი ფოსტა

### ახლო-აღმოსავლეთში.

**მუშების მუქარა.** როგორც ბუქარესტიდან გაზ. „უ. რ.“ ატყობინებენ, პროვინციალურ სინდიკატების მუშებს მთავრობისათვის მოუთხოვიათ გაანთავისუფლოს ის მუშები, რომელთაც მინისტრ ბრატიანის მოკვლის განზრახვა ბრალდებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში საერთო გაფიცვის მოხდენას აპირებენ.

### საზღვარ-გარეთ

**მიტინგები და პოლიც—თან შეტაკება.** რკინის გზის 5,000 მოსამსახურემ პარიზში მიტინგი გამართა, რომელზედაც მოითხოვეს დაწესებულ იქნას ჯამაგირათ დღეში 5 ფრანკი. მიტინგზე ილაპარაკეს, სხვა ორატორებთა შორის, ყოფილმა მინისტრმა პელტანმა და დეპ. ვილმა. მიტინგის შემდეგ მანიფესტანტების ჯგუფი შუაღამის ხანს სენ-ლაზარის რკ. გზ. სადგურისაკენ გაემართა, სადაც სერიოზული შეტაკება მოუვიდათ პოლიციასთან.

პარიზშივე მიტინგი გამართეს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებმა და მუშებმა, რომელნიც მოითხოვდენ უკანასკნელი გაფიცვის დროს დათხოვნილ მუშების უკანვე მიღებას. დეპუტატ სემბამ მინისტრ მილიერანის სახელით აღუთქვა მუშებს, რომ მათი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება.

**გაფიცვა ამერიკაში.** ნიუიორკიდან „რ. ს.“ დეპეშით ატყობინებენ, რომ ამერიკის 11 შტატში გაფიცულა 300,000 მაღაროს მუშა, რომელნიც მოითხოვენ ხელფასის გადიდებას ხუთი პროცენტით. იქიდანვე იტყობინებიან, რომ ფოლადის ტრესტს მუშებისათვის მოუმატებია ექვსი პროცენტი, რაიცა წელიწადში შეადგენს 16,000,000 მილიონ დოლარს. ბევრ რკინის გზების სამმართველოებსაც გადაუწყვეტიათ მოსამსახურეებს ექვსი პროცენტი მოუმატონ ჯამაგირზე და სამგზავრო ბილეთებზედაც ფასი ასწიონ.

**მუშათა ბრძოლა ისპანიაში.** ისპანიელი მუშები ამ ჟამათ საშინელ გაჭირვებულ მდგომარეობას განიცდიან. „რ. უ.“ სიტყვით, თითქმის სახელმწიფოს ყოველი კუთხეებიდან მოდის ცნობები გამწვავებულ კლასიურ ბრძოლის შესახებ. გაფიცვები შეუწყვეტლივ სწარმოებს ისპანიის მთელ რიგ ქალაქებში. ბარცელონაში და ბილბაოში მუშები გაფიცვას გაფიცვაზე ახდენენ. „ხაზეინების“ ჯიუტობა მთელს ისპანიას საერთო კრიზისს უმზადებს.

### რუსეთი

**ნაციონალისტები და ოქტომბრისტები.** ნაციონალისტებსა და ოქტომბრისტებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა დასავლეთ გუბერნიებში ერობის შემოღების საკითხის ნიადაგზე.

ნაციონალისტები მზად იყვნენ მხარი დაეჭირათ ოქტომბრისტებთან ერთად პროექტის ცხოვრებაში გატარებისათვის, მაგრამ როდესაც დარწმუნდენ, რომ ამ პროექტში რუსმემამულეთა უფლებანი რამდენიმეთ შელახულია, თავიანთ განზრახვაზე ხელი აიღეს და მოითხოვეს პროექტის ხელახლა განხილვა.

**გაერთიანებულ თავად-აზნაურთა** უკანასკნელ სხდომაზე განიხილეს საკითხი სახალხო განათლების შესახებ. პურიშკევიჩმა თავისებურათ დაახასიათა უმაღლესი სასწავლებლების მოწაფენი და დასძინა, რომ გლეხების შვილები, რომელნიც უნივერსიტეტში შედიან, თითქმის ყველანი რევოლიუციონერებათ ხდებიანო. ამიტომ პურიშკევიჩი სასურველათ სცნობს უნივერსიტეტის კარი დაეხშოს გლეხების შვილებს. გარდა ამისა პურიშკევიჩმა წინადადება შეიტანა, რომ საერობო დაწესებულებებმა სტიპენდიები აღარ მისცენ სტუდენტ-რევოლიუციონერებს (გლეხებიდან).

**კრიზისი ურალზე.** ეკატერინბურგიდან იტყობინებიან, რომ ინგლისის კომპანიამ გადასწყვიტა კარლინის ქარხნის დახურვა და ტენხის სპილენძის გადასადნობ ქარხანაში მუშაობის შემცირება. 1,500 მუშა უდუკმა-პუროთ დარჩა.

**მოხერხებული ყაჩაღი.** ჩებელკოვკაში (ეკატერინოსლავის გუბ.) საიდუმლო პოლიციის აგენტებმა ცნობილ ყაჩაღის კაცურას კვალს მიაგნეს და მოისურვეს მისი დატუსაღება.

კაცურას ხალხით გაჭედილ ქუჩაზე დაესხნენ თავს. კაცურამ 50-მდე ტყვია გაისროლა და შემდეგ უყვირილა მოროთ: არიქა, მიშველეთ, თავს დამესხნენ და მძარცვავენო! პოლიციელები ძებნაში შევიდნენ: ყველა აგენტები, რომელნიც კაცურას მისდევდნენ, დაატუსაღეს და ციხეში გაგზავნეს, სადაც შეცდომა გამოირკვა. კაცურამ-კი დრო იხელთა და მიიმალა.

**შავრაზმელების ოინები.** სასულიერო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორს, ხარუზინს შავრაზმელების ორგანიზაციიდან მუქარის წერილი მიუღია. წერილის ავტორები ხარუზინს ბრალს სდებენ „ინოროდცების“ მხარის დაჭერაში და მართლმადიდებელი სარწმუნოების ღალატში, რისთვისაც ბრალდებულისთვის სიკვდილი გადაუწყვეტიათ.

**მდგომარეობა ფინლიანდიაში.** სტატსტო გაზეთები გვატყობინებენ, რომ ფინლიანდიის მცხოვრებლებს შეუძლებლათ მიაჩნიათ რუსეთის სახ. დუმაში და საბჭოში წარმომადგენლების გაგზავნა. „რ. ს.“ თანამშრომლისათვის ერთ ფინლიანდელ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს უთქვამს: ფინლიანდიელები არ აირჩევენ დეპუტატებს სახ. დუმაში. ფინლიანდიელების ტაქტიკა არის მშვიდობიანი, წყნარი, მაგრამ მტკიცე და შეურყეველი; ფინლიანდიელები სცნობენ და ემორჩილებიან მხოლოდ ისეთ კანონებს, რომელნიც კანონიერი წესით არიან გამოცემულნი. თვით „სტაროფინებსაც“ (კონსერვატორები) შეუძლებლათ მიაჩნიათ თავიანთ უფლებებზე ხელის აღება და დათმობის უსარგებლობა. ფინლიანდიაში პოლიტიკური ცხოვრება სდუღს. უკველ დღე იმართება პოლიტიკურ პარტიების სხდომები და თათბირი.

**მე-20 საუკუნის გასართობი.** ქ. ტულაში ხელახლა შემოუღიათ მუშტი-კრივით ბრძოლა, რომელიც რამოდენიმე წლის წინათ აუკრძალავს მთავრობას. ბრძოლას მართავენ უქმე-დღეებში ქალაქ გარეთ, სადაც რამოდენიმე ათასი მაყურებელი იყრის თავს, ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი ხელოსნები, ნოქრები და მუშები. მებრძოლნი ორ ნაწილათ იყოფიან,—ჯარის კაცებსავით ჩამწკრივდებიან, დაიძახებენ, შემდეგ ერთმანეთს დაერევიან და უმოწყალოთ სცემენ—თავპირში, მკერდში და სადაც მოხვდება. დაბეჟილ-დაქანცულნი წყლის ნაპირას დასხდებიან, დასისხლიანებულ პირისახეს იბანენ და ჭრილობებს იხვევენ.

**დუმბაძის ამნისტია.** გენ. დუმბაძემ იალტაში დაბრუნების ნება დართო რამდენიმე გადასახლებულ პირს და მათ შორის საერობო თვითმართველობის უოფილ მდივანს რაბინოვიჩსაც. ყველა დაბრუნებულებს დუმბაძემ ხელწერილი ჩამოართვა, რომ ამიერიდან პოლიტიკურ საქმეებში არ გაერევიან.

**შეკითხვა.** სოციალდემოკრატიულ ფრაქციას სახ. დუმაში შეკითხვა შეაქვს 25 მუშის შესახებ, რომელნიც პოლიციამ დაატუსაღა გოგენის ქარხანაში (მოსკოვში) მომხდარ გაფიცვის გამო. ფრაქციას ცნობები მიუღია, რომ გაფიცვა იყო ეკონომიური და სრულებით მშვიდობით ტარდებოდა.

**25 დეპუტატის დაჯარიმება.** სახ. დუმის პრეზიდიუმმა ოც-ოცდახუთი მანეთით დააჯარიმა 25 დეპუტატი, რომელნიც 26 თებერვალს მომხდარ კენჭის ყრის დროს სხდომას არ დასწრებიან და არც არავითარი გამასამართლებელი მიზეზები დაუსახელებიათ. დაჯარიმებულ დეპუტატთა რიცხვში შედიან, სხვათა შორის: ფონ-ანრეპი, ვოიკოვი. თავ. ვოლკონსკი, კუტლერი, მილიუკოვი და გრ. უვაროვი.

## რუსეთის ცხოვრება

### გაერთიანებული თავად-აზნაურობა *)

18 მარტის კრებაზე კვლავ განაგრძეს ცხარე კამათი გუბერნატორთა უფლებებისა და ვიბორგის გუბერნიის ჩამოართმევაზე. გუბერნატორთა შესახებ, გაერთიანებულთა საბჭოს წევრმა პანჩულიძევმა, რეზოლიუციის შემდეგი პროექტი წარადგინა: „გუბერნატორები დაინიშნებიან, გადაიყვანებიან ერთი ადგილიდან მეორეზე და სამსახურიდან დაითხოვიან უმაღლესი ბრძანებით უმართებულეს სენატისადმი, რომლის შესახებ მინისტრთა საბჭოს ხელმწიფე იმპერატორს წინაშე მოახსენებს საქმის ვითარებას". ამის შემდეგ დებულებას აშორებენ იმ მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ გუბერნატორები შინაგან საქმეთა სამინისტროს ემორჩილებიან, ამის ნაცვლად უმატებენ: გუბერნატორები სენატის განკარგულებაში რჩებიან. ხსენებულ რეზოლიუციას დიდის აღტაცებით იღებენ. შემდეგ ფანჩულიძევი სიტყვას აცნობს იმ საჩივარის შინაარს, რომელიც მას აღუძრავს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე ფინანსთა მინისტრის ამხანაგს სენატორ კრიჟანოვსკის წინააღმდეგ, რომელმაც ადგილობრივ სამეურნეო საქმეთა საბჭოს თავმჯდომარეობისას საგუბერნიო დაწესებულებათა რეფორმის განხილვის დროს თვითმპყრობლობის შეკვეცა მოინდომა. მომხსენებელს თანაგრძნობას უცხადებენ და ტაშს უკრავენ.

ვიბორგის გუბერნიის ფინლიანდიისაგან ჩამოართმევაზე შემდეგ რეზოლიუციას აქვეყნებს სიეზდი: „ვსცნობთ რა მოუხერხებლად შეუცვლელად დარჩეს ვიბორგის გუბერნიის საზღვრები, რომელიც სატახტო ქალაქ პეტერბურგიდან 30 ვერსტის მანძილზე მდებარეობს და სადაც დაწესებულია განსხვავებული სამოსამართლო, ადმინისტრატიული და საზოგადოებრივი წესები, რაიც რუსის მთავრობას არ ემორჩილება და საფრთხეს წარმოადგენს თავისი როგორც პოლიტიკურის, ისე ეკონომიურის შედეგებით, განსაკუთრებით იმ რუსთათვის, რომელნიც იძულებულნი არიან ესა თუ ის მატერიალური კავშირი დაიჭირონ ამ მხარესთან, რომ რუსეთის მთავრობის ფინლიანდიის მიმართ მიღებული ზომები იწვევენ ფინლიანდიის მხრით როგორც აქტიურს, ისე პასსიურ წინააღმდეგობას, რაც ყველაზე უფრო თავს იჩენს ხოლმე ვიბორგის გუბერნიაში, რომელშიაც სატახტო ქალაქთან სიახლოვის გამო თავშესაფარს პოულობენ რუსთა რევოლიუციონერები და საზოგადოთ რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყების მომხრე ხალხი და რომ სახელმწიფო საკუთარი უშიშროების უზრუნველ საყოფათ სატახტო ქალაქთან ასე დაახლოვებით ვერ მოითმენს მართვა-გამგეობის სხვა საფუძველზე მოწყობილ ოლქს ან გუბერნიას, რომლის მცხოვრებთა ერთი ნაწილი მზათაა ფართოთ გაუღოს კარი და თავშესაფარი მისცეს რუსეთის შინაურსა თუ გარეშე მტრებს— გაერთიანებულ თავად-აზნაურთა სიეზდს აუცილებელ საჭიროთ მიაჩნია ვიბორგის გუბერნია გამოყოფილ იქნას ფინლიანდიის მართვა-გამგეობის წესებისაგან და დაემორჩილოს საერთო სახელმწიფოებრივ წესებს". ამ რეზოლიუციის შესახებ არც საერთო კამათი გამართულა და არც კენჭი უყრიათ მისთვის, ისე შეუდგნენ მუხლობრივათ მის განხილვას. პოლტავველი თავადი შჩერბატოვი მოაგონებს სიეზდს თუ რა პირობებში ჩამოერთვა ფინლიანდიას სესტრორეცკა და შეუერთეს პეტერბურგის გუბერნიას და ვიბორგის გუბერნიის ჩამორთმევის ნაცვლად წინადადებას იძლევა ჩამოერთვათ ეგრეთ წოდებული ძველი ფინლიანდია, რომელიც ოდესღაც ძველ ნოვგოროდს ეკუთვნოდათ. კრუპენსკი კითხვას იძლევა, თუ როგორ უნდა მოხდეს ჩამორთმევა—კანონმდებლობითი წესით თუ უმაღლესი ბრძანებით. მას უპასუხებენ, რომ თავად-აზნაურობას ეს არ აინტერესებს, ჩვენ მხოლოდ გადაჭრილი აზრი უნდა გამოვსთქვათო. გოლოვინის აზრით ეს უმაღლესი ბრძანებით უნდა მოხდეს. გოლოვინისვე ერთი ორატორის პასუხათ, რომელმაც სიეზდს წინადადებით მიმართა, სადაც ლაპარაკია დიდ სამთავრო ფინლიანდიის შესახებ, წაუმატონ სიტყვა „ეგრედ წოდებული სამთავრო", ამბობს, რომ ეს უხერხულია, ვინაიდან ბევრგან არის მოხსენებული სახელმწიფოებრივ აქტებში, რომ ფინლიანდია სახელმწიფო იყოვო. ხარკოველი კოვანკო დაბეჯითებით მოითხოვს კითხვის ეხლავე გადაჭრას, ვინაიდან მისი აზრით ეს ერთად-ერთი თავსატეხი საკითხთაგანია. რევოლიუციონური მოძრაობის აფეთქებისათანავე, მისი აზრით, სამშობლოს მტრები, რომელთაც უმთავრესი შტაბი სატახტო ქალაქიდან 30 ვერსტით აქვთ მოწყობილი (ვიბორგის გუბერნიაში), ადვილათ შეეძლებათ სატახტო ქალაქის ხელში ჩაგდება. ზოგიერთნი წინააღმდეგი არიან ხსენებული საკითხის განხილვისა, მათ შორის კრუპენსკი და თავადი ურუსოვი. მათი აზრით ფინლიანდიის საკითხი ახლა აღარ არის დატოვებული უყურადღებოთ მთავრობისაგან. ამიტომ უმაღლესი მთავრობის შეწუხება ამის შესახებ აღარ ღირსო, მარა კრუპენსკის რადგანაც ეტყვის პურიშკევიჩი და ისიც თავის წინადადებას ხსნის და ხმას აძლევს რეზოლიუციის სასარგებლოთ. კუშელევი ამბობს, რომ საფრთხე ცხვირ-წინ გვიდგას და ამიტომ შემდეგმა დევიზმა უნდა შეგვაერთოსო: „დაღუპულიყოს მთელი ქვეყნიერება, გაუმარჯოს რუსეთს". (Да погибнетъ весь міръ, да здравствуетъ Россія) საბჭოს მიერ წარდგენილი რეზოლიუცია მიიღეს, მხოლოდ ბოლო ასე შეუცვალეს: „თავად-აზნაურთა გაერთიანებული სიეზდი წინადადებას აძლევს მთავრობას ყურადღება მიაქციოს ზემოხსენებულ გარემოებას". ამის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამის შესახებ ის ყველაფერს აცნობებს უმაღლეს მთავრობას.

ერთ ერთ მაგიდაზე, სადაც მასალები ეწყო სიეზდისა, აღმოჩნდა პატარა ქაღალდი, რომელზედაც ჩამოწერილი იყო სახელმწიფო დუმის დეპუტატების (თავად-აზნაურების) სია იმ გუბერნიების აღნიშვნით, საიდანაც არიან და რომელ პარტიასაც ეკუთვნიან. სიაში აღმოჩნდა 83 კაცი. ამათში 5 თავადი, 6 გრაფი 5 ბარონი და 66 აზნაური. სია შემდეგი სიტყვებით თავდება: „ვაჭრის შვილმა გუჩკოვმა (სახ. დუმის თავმჯდომარე) მიიღო 217 თეთრი და 68 შავი კენჭი. სიაში აღნიშნულ 83 თავად-აზნაურთ რომ მის წინააღმდეგ მიეცათ ხმა, გუჩკოვს შავი ამოუვიდოდა 151 თეთრი 143 და ამრიგათ გაშავდებოდაო".

*) იხ. «ახალი სხივი» № 40, 41, 42.

### სკოლების საკითხი გურიაში.

გურიაში ისეთი საზოგადოება არ მოიპოვება, რომელშიაც სკოლა არ იყოს. ყველა სოფლის საზოგადოებაში არის ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი და რამდენიმე ერთკლასიანი სამინისტრო და სამრევლო-საეკლესიო სკოლები ასე თუ ისე ეს სკოლები სამსახურს უწევენ ხალხს და რამდენიმეთ მაინც აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. რამდენიმეთ ვამბობ იმიტომ, რომ სკოლებზე ისეთი მოთხოვნილებაა გურიაში, რომ არამც თუ არსებული სკოლები,—ერთი იმდენიც რომ კიდევ გაიხსნას სრულიათ მაშინაც ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ქვემოთ მოყვანილ ციფრებიდანაც ნათლათ დავინახავთ, რომ არსებული პირველ-დაწყებითი სკოლები ვერ იტევს მსურველებს და წლის დასაწყისში ბევრი მათგანი სკოლის გარეშე რჩება. გასული წლების აწერილობის თანახმათ, რომელიც სამინისტროს უწყების წარმომადგენელმა მოახდინა სკოლათა ეგრ. წოდებული ბადის შესადგენათ, სულ ოზურ. მაზრაში (25 საზ.) ყოფილა სკოლა სამინისტრო უწყების: ორკლასიანი—25, ერთკლასიანი—24, სასულიერო უწყების ორკლასიანი—4 და ერთკლასიანი 44. ამ სკოლებში საერთოდ სწავლობდა 8462 ბავშვი (ქალი და კაცი) სულ კი მთელ მაზრაში ყოფილა სასკოლო ჰასაკის (8, 9, 10 და 11 წ წ.) ბავშვი 20,000 მეტი. ამ სკოლების შესანახათ ხაზინა ხარჯავს სულ 43,856 მანეთს. (ამაში სამინისტ. უწყება—33,271 მან., სასულ,—10,585 მან.) საზოგადოება კი სამინისტრო უწყ. ეხმარება 15,687 მანეთით წელიწადში (სამრევლო სკოლების შესანახათ საზოგადოებიდან გადადებული ფულის რაოდენობა არ არის განსაზღვრული). ამ ბოლო დროს საზოგადოებაში დიდი სურვილია სკოლების სამინისტროს უწყებაში გადაცემისა. უკანასკნელ წლების განმავლობაში ბევრი სამრევლო სკოლა დაიხურა და იხურება უსახსრობის გამო. სოფელი ვერ უძლებს სკოლის მთელ ხარჯს. (სასწავლებლის ჯამაგირს და სხ.) სასულიერო მთავრობა კი სკოლებს ძალიან იშვიათად უწევს დახმარებას.

ამას გარდა, სამინისტრო უწყების (სახალხო განათლების) სკოლები გურიაში ყველაფრით სჯობნის სამრევლო სკოლებს. სკოლას რომ თვალს მიავლ-მოავლებ მაშინვე მიხვდები რომელი უწყებისაა სკოლა. სახ. განათლების სამინისტროს უწყების სკოლების შენობის დიდი უმრავლესობა ვარგისიანია. სკოლებს აქვთ ყოველგვარი მოწყობილება და სასწავლო სახელმძღვანელოები, სურათები ამა თუ იმ საგნებში სახმარი, საჭირო ქარტები, გლობუსები, კუბიკები და სხვ. ორკლასიან სკოლებს ზოგან საკუთარი წიგნთსაცავიც აქვთ მთელს მაზრაში არის რამდენიმე ცენტრალური წიგნთ-საცავიც სასწავლებელთათვის (ბახვი, ლანჩხუთი და სხვ.) მასწავლებლებს აქვთ განსაზღვრული ჯამაგირი (360 მ. და მეტიც) ბინა, შეშა და ნავთი. რა თქმა უნდა, ეს უმეტეს შემთხვევებში, არის გამონაკლებიც. მასწავლებლებს ზოგს ხაზინა ინახავს, ზოგსაც საზოგადოება. საზოგადოებისაგან მასწავლებლის დაკმაყოფილება მამასახლისის ხელშია, რომელიც ხშირათ იჩენს ხოლმე თავის „მამობას", მაგრამ ამ ბოლო დროს მასწავლებლების ჯამაგირი ხაზინაში შედის და მასწავლებლებიც იქიდან ღებულობენ (ვისაც სურს შეუძლია ადგილობრივათაც მიიღოს). გაცილებით უკეთ არის იმ სკოლებში დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმეც. სკოლებს ათვალიერებს სათანადო უფროსი, ანგარიშს უწევს მასწავლებლის ნამუშევარს, უვარგის მასწავლებელს ითხოვს, ერთი სიტყვით ამათში უფრო მჭიდრო კავშირია. სკოლას უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, უფრო ანგარიშს უწევენ ვინემ სასულიერო უწყების წარმომადგენელნი. პირველი (სამინ.) ტიპის სკოლები უფრო მოწყობილია, სწავლა-აღზრდის საქმე უფრო გაუმჯობესებული და მასწავლებლები უფრო უზრუნველ-ყოფილნი, ვიდრე სკოლები მეორე ტიპისა (სას. უწყ.). ეხლა თვალი გადავავლოთ სამრევლო სკოლებს. დიდი უმრავლესობა სასკოლო შენობებისა ძველი და უვარგისია. ფანჯრებში მინები ჩამტვრეული, სახურავში წვიმა ჩამოდის. სკოლებში ვერ ნახავთ საჭირო მოწყობილობას. გაუხსნია სამღვდელოებას სკოლა და ეტყობა, საქმე ამით გათავებულა. ხედავ ასეთ სკოლას კაცი—შენობა ძველი, უკარ-უფანჯრო, სიცივისაგან აბუზული ოციოდე მოსწავლე, ულაჯო მასწავლებელი და მაშინვე მიხვდები, რომ ეს სკოლა სამრევლო-საეკლესიოა. ამ სკოლებს პატრონი არა ჰყავს, თუმცა უმფროსი და ბატონი უთვალავია..

ა—გ—ლი.

(დასასრული იქნება)

## პროვინცია

**ბათუმი.** 21 მარტს მოხდა საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა კრება. (გაგრძელება 14 მარტის კრებისა). კრებამ მცირე შესწორებით მიიღო წინა კრების დადგენილებები და შეუდგა მოსამსახურე პირთა არჩევას. ასარჩევი იყო გამგეობის თავმჯდომარე. ვინაიდან ყოფილი თავმჯდომარე შპოლიანსკი თავს ანებებდა სამსახურს და თანაც წინა კრების აზრით შპოლიანსკის მოქმედებით საზოგადოებამ ზარალი ნახა, რისთვისაც წინა კრების დადგენილებით უნდა გამოერკვიათ შპოლიანსკის დანაშაულობა საზოგადოებისადმი და თუ შესაძლებელი იქნება სამართალშიც მიეცათ იგი, მაგრამ ამ კრებაზე რაღაც მანქანებით შპოლიანსკი ყოვლათ უცოდველი და უანგარო მოღვაწე აღმოჩნდა და საზოგადოების საქმისთვის ძალიან გამოსადეგი. მით უფრო, რომ მას განუზრახავს შეიტანოს უპროცენტოთ საზოგადოების კასაში ათი ათასი მანეთი საწარმოებლათ საზოგადოების სასარგებლოთ. რის შემდეგ ის ერთხმათ არჩეულ იქნა თავმჯდომარეთ. საბჭოში აირჩიეს ახალი წევრი მხოლოდ ბ. დიმიტრიადი გარდაცვლილი თაყაიშვილის მაგიერ. დანარჩენი ძველები დასტოვეს. სარევიზიო კომისიაში ამოირჩიეს: კრასნოცკი, შალავიცკი და მიქაძე.

ამ 13—14 წლის წინათ აქაურებს, რიცხვით დაახლოვებით რვაას კაცზე მეტს, აუღიათ იჯარით სახელმწიფო ადგილები, ეგრეთ წოდებულ ჭაობებში იმ პირობით, რომ შემდეგში, როცა შესაძლებელი იქნებოდა ე. ი. ჭაობს გააშრობდენ, შენობა აეგოთ. ამ მოსაზრებით მოიჯარადრეებმა იჯარის ფულის გადახდის გარდა საკმაო შრომა და ხარჯი გასწიეს ჭაობის ამოსაშრობათ: გაიყვანეს თხრილები, ხეები გააშენეს, შემოილობეს თავ-თავიანთ ნაჭრები და სხვა. როცა კი ზოგიერთმა მოიჯარადრემ პირობისამებრ თავის ნაჭერ მიწაზე სახლის აგება დააპირეს, მაშინ ეს კი აღარ დაანებეს. ვითომდა იმ მოსაზრებით, რომ ბათუმის ქალაქის თვითმართველობის თხოვნით რკინის გზის მმართველობას ამ ადგილზე უნდა გადაეტანა საქონლის სადგური. და ამიტომაც 1904 წელს მოიჯარადრეებს უწინდელი ხელშეკრულების ქაღალდი გამოუცვალეს, რომლის ძალითაც სახლის აგების უფლება აღარ ეძლევათ მათ მიერ გამშრალ და გაშენებულ ადგილზე, ამის შესახებ მოიჯარადრეებმა მიმართეს სათანადო მთავრობას თხოვნით, რომლითაც უხსნიდენ თავიანთ მდგომარეობას და ითხოვდენ შენობის აგების უფლებას უწინდელ პირობების თანახმათ. როგორც დაბეჯითებით ამბობენ, ამ საქმეზე ნამესტნიკის მიერ გამოგზავნილმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდა რკინის გზის წარმომადგენელიც, ადგილობრივ დაათვალიერა ეს ადგილები და მთხოვნელების დამაკმაყოფილებელი შეხედულებით დაბრუნდა. მას აქეთ რამდენიმე წელიწადი გადის და მოიჯარადრეებმა გადაწყვეტილი თავიანთი საქმისა არა იციან რა. 28 მარტს დანიშნულია ამის შესახებ მოიჯარადრეთა კრება.

— ამ თვის 31 აქ მოელიან ქართული დასის არტისტებს მესხიშვილის მეთაურობით—რომელიც, როგორც გადმოგვცეს, პირველათ დასდგამს აქ „ურიელ აკოსტას".

ამ დღეებში როტშილდის ქარხნიდან 25 მუშა დაითხოვეს. მოელიან კიდევ სხვების დათხოვასაც.

— სახალხო უნივერსიტეტის სამივე სკოლებში ამ ჟამათ სწავლობს 50 კაცამდე. გამგეობის თაოსნობით მიემატა ამავე სკოლების მოსწავლეთათვის ხატვის გაკვეთილები, რასაც სწავლობენ 25 კაცამდე.

დოსტი.

—

**ხონის რაიონი.** აქაურ გლეხებს ჯერ არ ახსოვთ ასეთი ეკონომიური კრიზისი. ყოველ მარიდან აწყდებიან ჩვენ პატარა ხონს სიმინდის მყიდველნნი. აუარებელი სიმინდი მიდის ლეჩხუმშიაც, ქუთაისის რაიონიდანაც ჩამოდიან გლეხები ხონში და ცხენებით ეზიდებიან სიმინდს. ასეთი აუარებელი მოთხოვნილებების გამო სიმინდის ფასმა აიწია. თუ სადმე იყო გასასყიდი სიმინდი, ყველა ხონელმა ჩარჩებმა ჩაიგდეს ხელში და ფასები აუწიეს. ხონელი გლეხები არც ისე უზრუნველ-ყოფილნი არიან, როგორც ეს ეჩვენებათ პირველი შეხედვით ჩამოსულ მყიდველებს. მთელი რაიონის გლეხობის უმრავლესობა დღესაც შიმშილს განიცდის. მოგვყავს სტატისტიკური ცნობები, რომელიც სოფლის გლეხების დახმარებით შევკრიბე. ხონის საზოგადოებაში ირიცხება 1300 კომლამდე. ამათში $^2/_3$ დამშეულია, დანარჩენებიც ამ მოკლე ხანში ულუკმა-პუროთ დარჩებიან. ამ საზოგადოებას უნდა გამოვაკლოთ სოფ. ივანდიდი, სადაც გარდა 7% დღესაც დამშეულნი არიან. ლანირის საზოგადოებაში 900-მდე კომლია. უზრუნველ-ყოფილია ჯერ-ჯერობით სამასი კომლი, დანარჩენნი შიმშილს განიცდის. კუხის საზოგადოებაში 980 კომლამდეა. ამათში $^2/_3$ დამშეულია. ნახ ხულევის საზოგადოებაში 1100 კომლამდეა. ამათში $^2/_3$ დამშეულია. ამ საზოგადოების ორ სოფელში: მათხოჯში და დედალაურში, შიმშილობა საშიშ ხასიათს ღებულობს. დედალაურში ირიცხება 200 კომლამდე, ამათში 7 პროც. თავს გაიტანს, დანარჩენთ არავითარი სალსარი არა აქვთ არსებობისათვის. მათხოჯში 600 კომლამდეა, ამათში 5 პროც, უზრუნველ-ყოფილია, 7 პროც. თავს გაიტანს, დანარჩენნი დღესაც შიმშილს განიცდიან. გვიშტიბის საზოგადოებაში 900 კომლამდეა, ამათში 96 პროც. დამშეულია. წყალტუბოს საზოგადოებაში 800 კომლამდეა, 80 პროც. დამშეულია. სოფ. გუბის-წყალი—უკიდურეს გაჭირვებას განიცდის.

აშკარად, მთელი ხონის რაიონის 6 საზოგადოება შიმშილს განიცდის.

დროებით ხონელი.

## მუშათა შორის

**ჭიათურა.** ვაგონების დამტვირთველ მუშათა ცხოვრებიდან. შავი-ქვის კრიზისი, რომელიც გამოიწვია უთავბოლო წარმოებამ და მისგან გამოწვეულმა უბედურებამ უმთავრესად მუშებს დაატყდა თავს, მარა კრიზისზე არა ნაკლები დღე დააყენეს მუშებს სხვა და სხვა ხაზეინებმა.

ვინ გინდა, რომ დღეს მუშებს აბუჩათ არ იგდებდეს, ათას გვარ უგვანო მოთხოვნებს არ უყენებდეს და თავის სურვილს არ ასრულებდეს.

ხაზეინები თუ მათი „უპრავლიაიუშჩები", ნოქრები თუ წვრილი მოიჯარადრეები, რკინის გზის ზოგი მოსამსახურენი თუ კერძო პირები, ყველა ცდილობს დაჩაგრულ დასუსტებულ მუშებს რამე წაართვას, ცოტა რამ მაინც შეაგლიჯოს.

ეს ორი წელიწადია რაც დამტვირთველი მუშები რამოდენიმე ჯგუფებათ არიან დანაწილებულნი. მათი ბედ-იღბალი მოიჯარადრეების ან კომისიონერების ხელშია. რასაკვირველია, ყველა მათგანი ცდილობს მუშათა მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესოს. ყველა ჯგუფები თავიანთი მეთაურებით ცდილობენ რომ სამუშევრები წაართვან მცირე ჯგუფს და ყველა მათ ხელში მოგროვდეს, მაგრამ ამით მუშებს შორის კონკურენცია არა თუ ისპობა და მცირდება, არამედ—უფრო და უფრო ღვივდება, რითაც სარგებლობენ ხაზეინები და ყოველ დღე ახალ-ახალ მოთხოვნებს უდგენენ მათ. დროა მუშები ეხლა მაინც ჩაუკვირდენ თავიანთ მდგომარეობას და ანგარიში გაუწიონ იმას, თუ რა მოუტანა მათ ერთი მეორის ჯიბრმა და მტრობამ.

ბკ—ლი.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე.


## განცხადება

ქუთაისში
კიწმარაშვილის და ამხანაგობის
თესლეულობის მაღაზიაში

მიღებულია სხვადასხვა ახალი ბოსტნეულობის, ყვავილის და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრის თესლეულობა.

აქვე იყიდება საგანგებოთ დამზადებული ძმების პასხალიდის თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ ეგზავნებათ სურათებიანი კატალოგი უფასოთ.

(25—13)

ქ. ბათუმში
აბეჯეულებისა და ჭურჭლეულობის
მაღაზია
პ. ა. მაჭარაძისა და პ. ა. ჭეიშვილის
დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზიაში მუდამ არის **დიდის არჩევით** ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთელი და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები", „კლიონკები" და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, ● **ფასები ხელმისაწდომია** ● ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს.

(0—10)